დინამო (ბთ)	11	2	2	7	9-11	8
დილა	11	0	2	9	5-31	2
კახეთი	11	0	1	10	9-34	1

უმაღლესი ლიგა
XII ტური. 18 ნოემბერი. ანონსი
ბორჯომი — დინამო (ბთ)
დინამო (თბ) — ჩიხურა
დილა — ვიტ ჯორჯია
ამერი — ოლიმპი
ტორპედო — შერანი
სიონი — ლოკომოტივი
კახეთი — ზესკოფონი

პირველი ლიგა. XV ტური
სარტყაი — გაგრა 0-1
მგლები — ჩიხურა2 4-1
ვიტ ჯორჯია2 — ამერი2 1-2
გურია — რაჭა 1-1
მეშაჭრე — ზესკოფონი2 2-0
ოლიმპი — მესხეთი 0-0
მეშახტე — 6. დინამო 3-1
სამტრედია — მერცხალი 1-0
მაღაროელი — დინამო2(ხბ) 1-1

პირველი ლიგა
XV ტური

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
მგლები	15	12	2	1	28-8	38
მესხეთი	15	9	4	2	26-8	31
მეშაჭრე	15	8	5	2	20-12	29
გაგრა	15	8	2	5	22-16	26
ოლიმპი	15	7	3	5	29-18	24
6. დინამო	15	7	2	6	22-19	23
მეშახტე	15	7	2	6	24-20	23
ვიტ ჯორჯია2	15	6	4	5	25-12	22
ჩიხურა2	15	6	3	6	17-18	21
ზესკოფონი2	15	5	5	5	15-14	20
ამერი2	15	5	5	5	21-19	20
დინამო2	15	5	4	6	23-16	19
მაღაროელი	15	4	7	4	18-17	19
სარტყაი	15	4	3	8	9-21	15
სამტრედია	15	3	5	7	17-30	14
რაჭა	15	2	4	9	12-30	10
მერცხალი	15	2	3	10	13-36	9
გურია	15	2	3	10	13-40	9

ქალები თურქეთში იგურთავებენ

დღეს, საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდი თურქეთში ქალაქ ადანაში გაემგზავრა და ხვალიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. ჩვენი ქალების მეტოქეები მასპინძლები — თურქები, ხორვატები და ჩრდილოეთ ირლანდიელები იქნებიან.

ქართველები 18 ნოემბერს ხორვატებს, 20 ნოემბერს ჩრდილოეთ ირლანდიელებს, 23 ნოემბერს თურქებს ეთამაშებიან. ნაკრებს მთავარი მწვრთნელი **მაია ჯაფარიძეა**, მწვრთნელი — **თემურ კობერიძე**. მწვრთნელთა შტაბში — **ნინო სოფდა**, ადმინისტრატორი — **ლევან რამნიშვილი**. მწვრთნელთა განკარგულებაში 18 ფეხბურთელია: **მეკარეები** — ნინო ჭაკუასი, ჭრისტინე შადობა; **შემკვლები** — ლალი ჭიპრიანაშვილი, თამთა მალიტი, თამარ ქვილიძე, ნაოია სხირტლაძე, თინათინ ღონღაძე, ბელა გოგსაძე, თამარ თაღვაძე, თინათინ ჭურჭიაძე; **ნახევარმცველები** — თამარ ნადირაშვილი, სალომე ხუბულური, ლელა ჭიპრიაძე, ტატა პატეიავა, დარეჯან მეზვრიშვილი, გვანცა დოლიძე; **თავდასხმელები** — მარი კახიძე, თეა ციცქიშვილი.

89-ე საჩუქარი

სწორედ ამდენი საჩუქარი დაამზადა საკუთარი ხელით საფეხბურთო თემაზე ვეტერანმა ფეხბურთელმა, ვიტალი დარასელიამ ბავშვობის მეგობარმა ოჩამჩირელმა ზურაბ მიქავამ.

ზ. მიქავა თავისი ნაოსტატართ გამოსმაურებია თანამედროვეობის თემაზე. „ყველა მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოვლენის, ფეხბურთელთა თუნდაც, თუმცა, მთავარ თემას ერთხელ მაინც გადაუხეთა — „გარდების რეფლუციით“ აღფრთოვანებულმა თავისი ნახელავი ამ მოკლეწასაც მიუძღვნა და სამუშაოდ გაუზავნა საქართველოს პრეზიდენტს.

ტრადიციისამებრ ზ. მიქავა რედაქციაში კვლავ გვიწვია ახალი ნამუშევრით — ესაა სამუშაო მიდღენილი ცნობილი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის კოტე მახარაძისადმი. სწორედ ესაა 89-ე სამუშაო, რომელიც კ. მახარაძის დაბადებიდან 80 წლისთავთან და მინიფეხბურთში მისი ხსოვნის ტურნირთან დაკავშირებით ზურაბმა საგანგებოდ დაამზადა.

სურათზე: ზურაბ მიქავა 89-ე ნამუშევრით ხელში.

ნოდარ ახალკაცი: დამნაშავენი უმკაცრესად დაისჯებიან!

სამშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ნოდარ ახალკაცის**, პრაფესიონალი ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტის **დმიტრი რამიშვილის** და სადისციპლინო კომიტეტის წევრების **ტატო დასხნაშვილის** (თავმჯდომარე), **ზურაბ პეტრიაშვილის, თემურ დადანიძის** და **ზვიად დარასელის** პრესკონფერენცია გაიმართა.

სადისციპლინო კომიტეტი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში ლანჩხუთის „გურიას“ და ახალციხის „მესხეთის“ შორის 30 ოქტომბერს მომხდარ ინციდენტს დაუბრუნდა, ამჯერად თამაშის ვიდეოფირით იხელმძღვანელა და სამოლოდ დაადგინა:

ლანჩხუთის „გურიას“ ჩაეთვალა წაგება 0-3, ხოლო „მესხეთს“ მიეკუთვნა მოგება — 3-0;

„გურიის“ ფეხბურთელი **ალექსანდრე ომნაიშვილი** და „მესხეთის“ ფეხბურთელი **გიორგი ბერიაძიძე** ერთმანეთთან ატეხილი ჩხუბის გამო დისციპლინურად დაჯარიმდნენ არიან 4-4 თანამით და 250 ლარით დაჯარიმდნენ.

„მესხეთის“ ფეხბურთელი **თარ მგელაძე** დისკვალიფიცირებულია 4 თამაშით და 250 ლარით დაჯარიმდა;

„გურიის“ ფეხბურთელები **ირაკლი ფიცურია, გიორგი ჩხაიძე, ზურაბ პატარაია** და **ვახტანგ კვაჭაძე** დისკვალიფიცირებულნი არიან 4-4 თამაშით და დაჯარიმდნენ 250-250 ლარით;

„გურიის“ მთავარი მწვრთნელი **თემურ ლორია** სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებული, ამავდროულად დაჯარიმდა 1000 ლარით;

„გურიას“ აგირძალა საკუთარ მოედანზე მომდევნო ხუთი კალენდარული მატჩის ჩატარება;

„გურიის“ სტადიონს 2007 წლის 31 მაისამდე პირობით დისკვალიფიკაცია მოეხსნა.

„გურიის“ მხრიდან მსგავსი დარღვევის განმეორების შემთხვევაში, სადისციპლინო კომიტეტი სფფ-ის აღმასკომის წინაშე დააყენებს საკითხს ჩემპიონატის და თასის გათამაშებიდან გუნდის მოხსნის თაობაზე.

ნოდარ ახალკაცი, სფფ-ის პრეზიდენტი:

„მივესალმები, რომ სადისციპლინო კომიტეტი დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ ამ საკითხს მიუბრუნდა და სათანადო სასჯელი გამოიტანა. მოგახსენებთ, პირველი სხდომისას კომიტეტმა ოფიციალური პირების მოხსენიებითი ბარათებით იხელმძღვანელა. ამჯერად კი სასჯელი ვიდეოფირის განხილვის შემდეგ გამოიტანა.

... იცით, რომ უმაღლესი ლიგის კლუბებს ჩვენ საშინაო მატჩებს ვიდეოფირზე გადაღებას ვავალდებულებთ, სავარაუდოდ, ეს მოთხოვნა პირველი ლიგის კლუბებს მიმდინარე ჩემპიონატის მეორე წრიდან დაეწესებოდათ.

... ის, რაც მოხდა, ამაზრზენი ფაქტია. ასეთი რამ ფეხბურთში არ უნდა ხდებოდეს. განსაკუთრებით შემზარავია ის, რომ ჩხუბში მონაწილეობდა მწვრთნელი, რომელიც, პირიქით, თავისი ქცევით მაგალითის მიმცემი უნდა იყოს ფეხბურთელებისთვის. სასჯელი მკაცრია, მაგრამ სამართლიანი, თუმცა, საფეხბურთო საქმარო უფრო მკაცრ სასჯელსაც იცნობს — დამნაშავის ფეხბურთიდან საჯდამდე მოცვდას. ჯელს მოვუწოდებ, ნუ მოიქცევიან ისე, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უმკაცრესი განაჩენი გამოიტანოს.

... ასეთი ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, უეფა-ს სტანდარტების თანახმად, სპეციალური ჯგუფი შექმნა, რომელშიც ჩვენსა და ბატონ **დმიტრი რამიშვილის** გარდა თბილისის „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“ და „ამერის“ ხელმძღვანელები **გურამ რუხაძე, ბუბა ტყავაძე** და **ზურაბ ფოცხვერია** შევიდნენ. ჩვენ დროგამოშვებით შევიკრიბებით და მსგავს შემთხვევებს განვიხილავთ. ასევე სხვადასხვა პრობლემებთან ბრძოლის საშუალებებზე ვიმსჯელებთ“.

დმიტრი რამიშვილი, პფლ-ის პრეზიდენტი:

„ის, რაც მოხდა, ძალიან ცუდია და ამავდროულად ნათლად გვიჩვენებს, რომ ბევრ კლუბში დისციპლინა ჯერაც არაა სათანადო დონეზე. განსაკუთრებით გამაღიზიანებელია ის, რომ ჩხუბში მწვრთნელიც მონაწილეობდა.

... მსურს ყველას მოვუწოდო, თავი შეიკავონ მსგავსი გამოხდომებისგან — ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა და ამაყდროულად, კარგად უნდა გავითავისოთ, რომ ფეხბურთი, პირველ რიგში, თამაშია.“

ტატო დასხნაშვილი, სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე:

„მას შემდეგ, რაც ამ მატჩის ვიდეოფირი მოგვაწოდეს, საჭიროდ ჩავთვალეთ სხდომის ხელახლა გამართვა და სასჯელებიც ამიტომ შეიცვალა. ფირის მოწოდებისთვის დიდი მადლობა ტელეკომპანია „იმედს“.

... თუ რა სასჯელები გამოვიტანეთ, ამის შესახებ სხდომის ოქმიდან შეიტყობთ. მე კი გეტყვით, რომ თუ მსგავსი ინციდენტი განმეორდა, სადისციპლინო კომიტეტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე წინადადებით შევა, რათა „გურია“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან და თასის გათამაშებიდან მოიხსნას.

... მომავალში, თუ სხვა კლუბის მხრიდან დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევები, სასჯელი უმკაცრესი იქნება.“

სფფ-ის პრესცენტრი.

მოგრძანდით გლდანში

შაბათს, ეროვნული პირველობის პირველი წრის ბოლოსწინა მეთორმეტე ტურის მატჩები გაიმართება. ეს ტური იმით არის გამორჩეული, რომ შეიძლება შემოდგომის ჩემპიონი გამოვლინდეს. მთავარი მატჩი გლდანში, „ამერის“ სტადიონზე შედგება. ერთპიროვნულ ლიდერს, თბილისის „ამერს“ მდევარი და პირველი ადგილის მოკეტე, რუსთავის „ოლიმპი“ დაუპირისპირდება. ალნიშნული შეხვედრა მართლაც გამორჩეული და მნიშვნელოვანია. ვინც მოიგებს, ის პირველი იქნება. მოკლედ, მატჩს ნაღდი სპორტული ინტრიგა ახლავს და, იმედია, იგი ღირსეული შესადარისი პაექრობა იქნება.

სპარიზო ადგილების მოსურნე სხვა გუნდები ძირითადად აუტსაიდერებს წარმოადგენენ. ვიტესები გორში ჩადიან, ზესკოფონელები თელავს ეწვევიან. თბილისის „დინამო“ საჩხერეელებს მასპინძლობს, ჭუთაისელები შერანელებს მიიღებენ. ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ თბილისის „ლოკომოტივის“ დატეხდება. ბათუმის „დინამო“ კუროორტზე, ბორჯომში ჩავა და არსახარბიელო სატურნირო მდგომარეობის ოდნავ გამოსწორებას შეეცდება, გამოუვა თუ არა ჩანაფიქრი, ეს ჯერ სხვა საკითხია.

მოკლედ, ჩემპიონატის პირველი ნაწილი დასასრულს უახლოვდება. ცოტაც და წელიწადილი პირველობის საშუალო ფონიში უშალოესი ლიგის თოთხმეტ გუნდს ჩარიგების მიხედით გაანაწილებს სატურნირო ცხრილში.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეშლი კოლი: „ბედნიერი ვარ, რომ „ჩელსიში“ მოვხვდი“

მცველი ეშლი კოლი ბავშვობიდანვე ლონდონის „არსენალის“ გულშემატკივრობდა. მას ოცნება აუხდა და „არსენალში“ წლების განმავლობაში თამაშობდა, თანაც, წარმატებით. ამა წლის 1 სექტემბრის შემდეგ კი „ჩელსის“ დღისპას იცავს. გთავაზობთ ეშლი კოლის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

◆ რით ახსნით ინგლისის ნაკრების წარუმატებელ სტარტს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე?

— ეს არაა ტრაგედია. რა მოხდა მერე, რომ ორი თამაში ვერ მოვიგეთ? შეიძლებოდა ყველი თამაშის მოგება... ასე თუ ისე, ჩვენ მაინც ლიდერთა შორის ვართ.

◆ რას იტყოდით კრიტიკაზე, რომელიც თავს დაატყდა ინგლისის ნაკრების მთავარ წმწორნელს სტივ მაკლარენს?

— ვფიქრობ, რომ კრიტიკა არასამართლიანია. ფეხბურთელებმა თუ ვერ თამაშეს წარმატებით, რატომ უნდა დაბრალდეს ყველაფერი მწვრთნელს?

მოედანზე ჩვენ გავდივართ და არა მაკლარენი. სტივი შესანიშნავ მწვრთნელია, მასთან მუშაობა ერთობ სასიამოვნოა. იგი ყველას უყვარს. კარგად მეკმის, რომ ასეთი კრიტიკის შეჩერება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით ვითამაშებთ. ჩვენ ამას შევძლებთ.

◆ ბევრი ფიქრობს, რომ ინგლისის ნაკრები შესაძლოა, ვერ მიხვდეს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე...

— კი მაგრამ, რატომ? ტურნირი ახლაც დაიწყო, წინ ბევრი მატჩი ველის. ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ გავიდეთ ფინალური ეტაპზე და იქაც წარმატებით ვითამაშოთ. ინგლისის ნაკრები ძლიერია. ხომ არ დავიჯერებთ, რომ რამდენიმე თვის წინ ჩვენი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში სწარატების სერიაში დამარცხდა.

◆ 25 წლის ხართ და ინგლისის ნაკრებში უკვე 56 მატჩი თამაშით. მონაწილეობდით სამ მნიშვნელოვან ტურნირში — მსოფლიოს ორ და ევროპის ერთ ჩემპიონატში. თქვენი აზრით, რა არ ჰყოფნის ვარსკვლავებით დაკომპლექტებულ ინგლისის ნაკრებს იმისათვის, რომ მაიჯოროს ისეთივე წარმატებას, როგორც იტალიის, საფრანგეთის ან გერმანიის ნაკრებებმა?

— ასეთ შეკითხვას საკუთარ თავს ხშირად ვუსვამ ხოლმე და პასუხს ვერ პოულობ — ფეხბურთში ყველაფერი ფორტუნაზეა დამოკიდებული. ბოლო ორ ტურნირს — საუნაოი ევროპის 2004 და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატებზე — ინგლისების სერიაში გამოვედიოდით... ყველაფერს ხედი უნდა. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე, სიმართლე ვთქვათ, დიდად არ ვბრწყინავდით, მაგრამ მეოთხედფინალში მაინც გავედით. ნახევრადფინალზე ნახევრი ნაბიჯი დაგვაკლდა. ვიცი, რომ გუნდშემატკივრები წერდნენ მეტს ელიან. ვიმედოვნებ, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე მაინც ვითამაშებთ წარმატებით.

◆ რა არის თქვენი ოცნება ფეხბურთში?

— ყველა ფორმატზე გამარჯვების მოპოვება, სანაცრები დონეზეც და ლონდონის „ჩელსისთან“ ერთადაც. დღეისათვის ჩემს ანგარიშზე უკვე ხუთი ტიტულია — ინგლისის ორჯერ ჩემპიონი და სამჯერ ქვეყნის თასის მფლობელი ვარ, მაგრამ ჩემთვის ეს არ არის საკმარისი. მინდა მოვიგო ჩემპიონთა ლიგა, რეგულარულად ვითამაშო ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში და ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო ჩემპიონი გავხდე.

◆ თქვენს მიერ გამოცემულ წიგნში წერთ, რომ ბავშვობიდან ლონდონის „არსენალის“ გულშემატკივარი იყავით... რას გრძნობდით, როცა ბავშვობის დროინდელ ოცნებას ასეთი დატკივით და სამაისოდ „ჩელსიში“ გადახვედით?

— მწერი იყო „არსენალთან“ განშორება... იქ ხომ წლები გავატარე. თავის დროზე მეცონა, რომ ამ კლუბიდან არსად წავიდოდი. რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება — მე ბედნიერი ვარ, რომ ლონდონში „ჩელსიში“ მოვხვდი.

◆ ზაფხულში თქვენთან დიდ ინტერესს აჟღერებენ მანჩესტერ „რეალი“ და მადრიდის „ატლეტი“... რატომ აირჩიეთ მანჩესტერის „ჩელსი“?

— იმიტომ, რომ „ჩელსიში“ დიდებული ფეხბურთელები თამაშობენ და ამ გუნდს ბრწყინვალე მწვრთნელი ჰყავს. „ჩელსიმ“ ზედიზედ ორჯერ მოიგო მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი ჩემპიონატი და კვლავ აქეს მნიშვნელოვანი ამოცანები. კიდევ მოიგოს ეს ტურნირი, მწვანე, ჯერჯერობით ჩემპიონი „ჩელსისთან“ ერთად გავხდე და ჩემი კოლექცია კიდევ უფრო გავამდიდრო. ასე რომ, „ჩელსიში“ გადასვლის მოტივაცია იყო, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვების მოპოვება.

◆ თქვენ გალატასარაის ტრანსფერი ფანატების დახურვამდე რამდენიმე წუთით ადრე – 1 სექტემბრის დაფიქრების ცოტაც უკლდა. რას ფიქრობდით, როდის გადაწყვიტეთ „არსენალისა“ და „ჩელსის“ ხელმძღვანელები?

— რას ვიზამდი? დარბილდი „არსენალში“. როცა ტრანსფერი განხორციელდა, ინგლისში არ ვიცოდით, ბოლო წამს დამიროკა ჩემმა აგენტმა და მითხრა, რომ შეთანხმება შედგა. ძალიან გამხარდა და მერე დღესაც შევდიოდით „ჩელსის“.

◆ როგორ მიგიღეს ახალ გუნდში?

— ძალიან კარგად. ჯონ ტერის, ლემპარდის და ჯო კოულს მამაშიც კარგად ეცნობიდი — ნაკრებიდან... დანარჩენებსაც... მათ თავი მაგრძნობინეს, როგორც საკუთარ სახლში.

◆ რამდენჯერ შეხვედრიხართ „ჩელსის“ მფლობელს რომან აბრამოვიჩს?

— ბევრჯერ. ის თითქმის ყოველდღე ესწრება გუნდის ვარჯიშებს. ასეთები მსოფლიოში ბევრი არ არიან. მისტერი აბრამოვიჩს ძალიან უყვარს ფეხბურთი და „ჩელსი“. ყველა თამაში უყურებს ტრიბუნებიდან და უნდა ვთქვა, გუნდში შეიცავ ყველაფერი წესრიგში იყოს. ჩვენ ამას კარგად ვხედავთ და ამიტომაც ყველ მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძვით.

◆ ვის მიიჩნევთ თქვენ რას ის ოქსიდი?

— ბრწყინვალე მწვრთნელია. მოეურნეის ყველა ფეხბურთელთან კარგი დამოკიდებულება აქვს. ზოგი მოთამაშე შეიძლება სათადარიგოთა სკამზე ზის, ზოგი შეკვლაზე შედის მოედანზე, მაგრამ ერთი კია, რომ ყველა კომფორტულად გრძნობს თავს „ჩელსიში“.

ჟოზე მოურინიო მოთამაშეში საუკეთესო თვისებებს პოულობს და შეძლებს ამას გუნდის სასარგებლოდ იყენებს. მას შეუძლია, მთამაშის ადრინდელზე ძლიერად... მოურინიოს ყველასგან დიდ პატივისცემას იმსახურებს.

◆ რატომ უთმობდა ანდრეი შევჩენკოს ადრინდელი შეხვედრისათვის ასე ძალიან „ჩელსიში“?

— რაც ახალ გუნდში მიდიხარ, მნელია მალე შეეწყო მას. ეს მეც მეხება. მე მთელი ცხოვრება ინგლისში ვთამაშობ და მინც ცოტა გამეჭირდა ახალ გუნდში აკლიმატიზაცია. შეეჩეყო კი იტალიიდან გადმოხვედა — მას ინგლისში არასდროს უთამაშია. ჟბდავ, რომ ის დარწმუნებულია საკუთარ ძალებში. მჯერა, რომ ის ინგლისშიც გაბრწყინებს.

◆ თანაგუნდელები თუ ეხმარებით შევჩენკოს აკლიმატიზაციაში?

— რა თქმა უნდა. ყველაფერი რიგზეა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად წარვა.

◆ ისწავლა ბოლოს და ბოლოს, ინგლისური ენა?

— ცდილობს. მოედანზე ენის ცოდნა საჭირო არაა, ისედაც შეგვიხვიან ფეხბურთის ენაზე. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ენა ხომ საერთოა და ყველასთვის გასაგები.

◆ უკეთა ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშება „არსენალი“ ფინალში გავიდა. „ჩელსი“ კი, არა. თქვენი მთავარი ამოცანა ალბათ, ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

— ჩვენი მიზანი ყველა ფრონტზე გამარჯვებაა. ჩემპიონთა ლიგის მოგება, რა თქმა უნდა, გვინდა, მაგრამ ჯერ მთავარია, ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვოთ.

◆ ამ სეზონში, „ჩელსისათვის“ ძნელი იქნება პრემიერლიგის მოგება... ბევრი ასე ფიქრობს.

— მართალია. ბოლო ორი წელიწადია, „ჩელსი“ ინგლისის ლიდერია. ყველი გუნდი ოცნებობს ჩვენთან გამარჯვების მოპოვებაზე. კონკურენტებიც გაძლიერდნენ. მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედი“, ალეჭ. ფერგიუსონს შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს — რუნი, საა, კრისტიან რონალდო. ტოტენჰემთანაც აგრეთვე იბრძვიან „არსენალი“ და „ლივერპული“.

◆ საჭიროა თუ არა რაიმე კორექტივების შეტანა „ჩელსში“.

— არა მგონია. გუნდი ძალიან კარგ ფორმაშია.

◆ ამ ცოტა ხნის წინათ, უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩში „პარსელონასთან“ მატჩის ფრედ დამთავრებამ აღაშფოთა, საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დაგარწმუნათ.

— ყველა გუნდს უკარის „პარსელონასთან“ ჩემპიონ თამაში. ვიცით, რომ მართალია, ბოლო მოგრნეში გავთანაბრეთ ანგარიში, ჩვენ მაინც უკეთ გამოვიყურებოდით იმ შეხვედრაში.

◆ თუ შეიძლება, თქვენეული რეიტინგი თამაშისშეძლებისა და დაცვის ხაზის მოთამაშეებს...

— რთული საკითხია. შეტევებში ბრწყინავენ ანრი, დროგბა, რომელიც წელს ფანტასტიკურ სეზონს ატარებს, აგრეთვე შევჩენკო, ადრიანე, რუნი. ჟერ გამოვარჩევ მაოგან საუკეთესოს. დაცვაში გამოირჩევან ჯონ ტერი, რაკარდე კარვალიუ, ნესტა, კანავარო, პეტიოლი, მარკესი.

◆ კი მაგრამ , ტშლი კოული?

— (იცინის) არა.

◆ რატომ?

— იმიტომ, რომ მე არ ვარ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი.

◆ არ შეგიძლიათ ასეთად იქცეთ?

— შევიძლია. სწორედ „ჩელსში“ მიჭვნა ასეთ დონეზე ასვლის შანსი. დროდადრო, ეფექტო მოეუნდები.

◆ თქვენს თანაგუნდელს — ჯონ ტერის უყვარს ვიდეოჩანაწერების ცქერა და მეცინე შეცდომების მოძებნა. თქვენ?

— თუ კარგად ვითამაშე, შემიძლია ვუცქირო ვიდეოჩანაწერს, თუ დამბარებენ, — არავითარ შემთხვევაში.

◆ ამბობენ, რომ ტელევიზორით არ გიყვარს ფეხბურთის ყურება.

— ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა. ყველდღიურად ვვარჯიშობ, ვთამაშობ და კიდევ ტელევიზორითაც ვუყურო?

◆ მაინც, რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

— მძინავს (იცინის). ისე, თავისუფალი დრო თუ მაქვს, ვცდილობ, შინ ვიყო, მეფლობოთან — შვილი ტკიდება ერთად (ეს უკანასკნელი ინგლისში კარგად ცნობილი პოპ-ჯგუფ „ტერეზ ალენუდის“ სოლისტია). ან, ეს არის ჩემი დასვენება.

ჯონი – ეშლი კოული

მცველი

დაბადა 1980 წლის 20 დეკემბერს ლონდონში.

სიმაღლე 172 სმ, **წონა** 67 კგ.

გამოფენილია „არსენალში“ (1999, 2000 — 2006 წლებში), „ქრისტალ პალასში“ (1999 — 2000).

2006 წლის 1 სექტემბრიდან „ჩელსშია“.

„არსენალში 156 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გატანა. „ქრისტალ პალასში“ — 14 მატჩი, 1 გოლი, „ჩელსში“ — 7 მატჩი.

ინგლისის ჩემპიონი 2002 და 2004 წლებში, ინგლისის თასის მფლობელი (2002, 2003, 2006). სუპერთასების მფლობელი (2002, 2004). ინგლისის ნაკრების დებიუტი ჰქონდა 2001 წლის 28 მარტს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ალბანეთის გუნდთან (3-1), სულ ნაკრების მასსერი 56-ჯერ მოირგო.

მონაწილეობდა მსოფლიოს 2002 და 2006 წ., ევროპის ევროპის 2004 წლის ჩემპიონატში.

ევროპის სტადიონებზე

ოთხშაბათს გაიმართა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის რამდენიმე შეხვედრა. I ჯგუფში პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა დაგეგმილი სამი ქულა აიღეს საკუთარ მოედანზე ყაზახთის გუნდთან შეხვედრაში — 3-0. ორი ბერთი სიმაჟე გაიტანა, ერთი — კრისტან რონალდომ.

ამ შეხვედრაში **პორტუგალიის** ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რიკარდო, მიგელი, ტონელი (ნორბა ანდრადე, 77), პაულუ ფერეირა, კარვალიუ, ტოაგუ, დეკუ (მარტინსი, 63), რაულ მეირელესი, კ. რონალდო (ულვარეშა, 58), ნუნუ გომეში, სიმაუ.

ბელგიელები საკუთარ მოედანზე 0-1 დამარცხდნენ პოლონელებთან შეხვედრაში — ეს ერთადერთი ბერთი მატჩის მე-19 წუთზე მატესიაკმა გაიტანა.

ფინეთის ნაკრებმა ასეთივე ანგარიშით სძლია სომხეთის გუნდს.

IV ჯგუფში კვიპროსის ნაკრებმა სასწაული მოახდინა — საკუთარ მოედანზე ფრედ — 1-1 ითამაშა გერმანიის ნაკრებთან შეხვედრაში.

თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ ბალაკის გოლის წყალობით, შემდეგ კი ოყასმა აღადგინა წონასწორობა.

გერმანია: ჰილდებრანდი, ფრინდრიხი, ლამი, ზაინ შტაიგერი, ფრინგსი, ბალაკი, ფრიტცი, ოდონკორი (ჰიტცფელდერი, 79), კლოზე, ნოიფილი (ენკე, 62).

ირლანდიელებმა სან-მარინოს ნაკრები გაანადგურეს — 5-0.

V ჯგუფში რუსებმა სტუმრად მოიპოვრეს მაკედონიელთა დამარცხება 2-0. დამპაუილი გამოდგა შეხვედრა ისრაელსა და ხორვატიის ნაკრებებს შორის. მატჩში სულ 7 გოლი გაიგდა.

ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ჯერ სრულ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ ედუარდომ წინ გაიყვანა ხორვატები. მანვე მეორე ბატეინი კიდევ ორჯერ აღინ მტერის კარი. საბოლოოდ ხორვატებმა 4-3 იმარჯვეს.

გაიმართა აგრეთვე ამხანაგური შეხვედრები. ფრედ (1-1) ითამაშეს 3 ოლანდიისა და ინგლისის ნაკრებმა გუნდებმა. ანგარიში 37-ე წუთზე რუნიმ გახსნა, მატჩის დამთავრებამდე ოთხიოდე წუთით ადრე კან დეკ ვაარტმა წონასწორობა აღადგინა.

ბრაზილიის ნაკრებმა სტუმრად 2-1 მოუგო შეიცარიის გუნდს. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ლუიზომ და კაკამ.

ფრედ, 1-1 ითამაშეს იტალიელებმა და თურქებმა. თავიდან ნატალიმ დაიწინაურა იტალიელები, შემდეგ კი მატერაციმ... საყურადღებო კარში ჩაჭრა ბუფონის ნაცვლად მეკარედ დებიუტანტი ამორეტი.

ფრანგებმა ანრის გოლის წყალობით 1-0 მოიგეს საბერძნეთის გუნდს.

მოეღილენი შედგნენ დასრულდა ესპანეთისა და რუმინეთის ნაკრებების შეხვედრა. რუმინელებმა სტუმრად შეძლეს გამარჯვების მოპოვება 1-0.

სხვა შეხვედრები:

ბელტა — ლიტა 1-4(0-1)

ტანზანია — ანგოლა (გადაიდო)

ზიმბაბვე — ნამიბია 3-2 (2-1)

ალჟირი — ბურკინა ფასო 1-2 (0-0)

ეკვადორი — ბელარუსი 2-1 (1-0)

ლუქსემბურგი — ბულგარეთი 3-1 (1-0)

ლიხტენშტაინი — კოსტა რიკა (გადაიდო)

შვედეთი — კოტ დივუარი 0-1 (0-1)

ლუქსემბურგი — ტუნისი 0-0 (0-0)

ტუნისი — ლიბია 2-0 (1-0)

უელსი — კანადა 1-0 (1-0)

სერბეთი — ნორვეგია 1-1 (1-1)

ჩეხეთი — დანია 1-1 (0-1)

ალბანეთი — ტრინიდადი 4-1 (3-1)

მაროკო — გაბონი 6-0 (1-0)

ეგვიპტე — სამხ. კორეა 1-0 (1-0)

ფეხბურთი. ევრო — 2008

შესარჩევი ეტაპი

ჯგუფი I

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ფინეთი	5	3	2	0	7-2	11
სერბეთი	4	3	1	0	6-1	10
პოლონეთი	5	3	1	1	6-5	10
პორტუგალია	4	2	1	1	8-3	7
ბელგია	5	2	1	2	4-2	7
ყაზახეთი	5	0	2	3	1-7	2
სომხეთი	4	0	1	3	0-5	1
ანგრიანეთი	4	0	1	3	1-8	1

IV ჯგუფი

გერმანია	4	3	1	0	19-2	10
ჩეხეთი	4	3	1	0	13-2	10
სლოვაკეთი	4	2	0	2	12-9	6
ირლანდია	4	1	1	2	8-7	4
კვიპროსი	4	1	1	2	8-12	4
უელსი	3	1	0	2	5-8	3
სან-მარინო	3	0	0	3	0-25	0

V ჯგუფი

ხორვატია	4	3	1	0	13-3	10
რუსეთი	4	2	2	0	5-1	8
ინგლისი	4	2	1	1	6-2	7
ისრაელი	4	2	1	1	9-6	7
მაკედონია	5	2	1	2	4-3	7
ესტონეთი	3	0	0	3	0-4	0
ანდორა	4	0	0	4	1-19	0

აზიის თასი

იაპონია — სარაბეთი 3-1 (2-1)

უზბეკეთი — ყატარი 2-0 (1-0)

სინგაპური — პალესტინა (გადაიდო)

ირანი — ეროვ. 1-1 (1-0)

ჰონგ კონგი — ბანგლადეში 2-0 (1-0)

სირია — ტაილანდი 3-0 (0-0)

ირანი — სამხ. კორეა 2-0 (0-0)

ინდონეზია — ინდოეთი 2-1 (0-0)

ემირატები — პაკისტანი 3-2 (0-1)

ირაყლანა — ომანი 3-0 (0-0)

ბაჰრეინი — კუვეითი 2-1 (2-0)

NBA

„სან-ანტონიოს" პოლუღნელი მარცხი

გაიმართა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები. „ნიუ-ჯერსიმ" შინ 6 ქულის სხვაობით წააგო „სიეტლთან" შეხვედრაში 113:119. მასპინძლებს ვერ უშველათ ვინს კარტერის შეფეხვანაძე თამაშში, რომელმაც „ნიუ-ჯერსის" 38 ქულა შეიძინა. „ალლეულენდა" სტუმრად 102:96 ძლია „ნიუ-იორკს", რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ლებრონ ჯეიმსის ბრწყინვალე თამაშს — მის ანგარიშზე 29 ქულაა.

„ორლანდომ" 92:89 მოუგო „ბოსტონს".

„ატლანტა" საკუთარ მოედანზე 101:103 დამარცხდა „მილუოკისთან". გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შეფეხვანი იყო რეჯი, რომელმაც 30 ქულა მოაგროვა და 7-ჯერ მოხვნა ბურთი ფარიდან.

მასპინძლთა გუნდში ყველაზე შეფეხვანები იყვნენ ლიუ (27 ქულა) და ჯ. ჯონსონი (29).

„მაიამიმ" 105:112 წააგო „დენვერთან". მასპინძელთა ლიდერი უეიდი ამაოდ დაშრა — მის მიერ მოპოვებული 37 ქულაც საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისათვის. გარდა ამისა, ამ კალათბურთელმა 8-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 11 შეფეხვანი გადაცემა შეასრულა. გამარჯვებულთა რიგებში სატყვისო იყო ენტონი, რომელმაც 33 ქულა მოაგროვა და 6-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. „მინესოტამ" 101:89 დაამარცხა „პორტლენდი", რაც დევისისა და გარნეტის დამსახურებაა. ორეული ანგარიშზე 27 ქულაა, გარნეტს რაც შეეხება, მან 20 ქულა მოაგროვა, 13-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 7 შეფეხვანი გადაცემა შეასრულა.



„ნიუ-ორლეანმა" — „შარლოტას" აჯობა — 94:85. მატჩის გმირი იყო სტაიაკოვიჩი, რომელმაც „ნიუ-ორლეანს" 42 ქულა შეასძინა.

„სან-ანტონიომ" წარმატებით ითამაშა სტემპედ „ჰიუსტონის" წინააღმდეგ 92:84. თიმ დანკანმა 19 ქულა შეასძინა „სან-ანტონიოს" და 15-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. დალასმა 12 ქულის სხვაობით სძლია „ჩიკაგოს" 111:99. გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შეფეხვანი იყო 31 მოპოვებული ქულით. გარდა ამისა, ამ კალათბურთელმა 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

სხვა შეხვედრები: „იუტა" — „ლოს-ანჯელესი" 112:90, „გოლდენ სტეიტი" — „ტორონტო" 110:99.

„მემფისის" გულშემატკივარმა ბილ ჰისლინმა სასამართლოში უჩივლა „ლოს-ანჯელესის" ლიდერს კობი ბრაიანტს. ჰისლინის თქმით, მარშან ერთ-ერთი მატჩის დროს კალათბურთელმა ძლიერი დარტყმა მიაყენა (ახლა გაასსენდა?) და 75 ათას დოლარს ითხოვს კომპენსაციის სახით.

**გუშინ „ორლანდმ" 108:99 დაამარცხა „დენვერი". ამ უკანასკნელს ვერ უშველა ენტონის შეფეხვანობამ — 34 ქულა. „ალლეულენდა" ლებრონ ჯეიმსის ბრწყინვალე თამაშის წყალობით 13 ქულით 100:87 სძლია „პორტლენდს". ჯეიმსმა 32 ქულა მოაგროვა, 7-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და ამდენივე შეფეხვანი გადაცემა შეასრულა. „ფენიქსმა" „ვაშინგტონი" 113:101 სძლია „ატლანტიმ". მოულოდნელად წააგო „შარლოტასთან" 94:95, ისიც საკუთარ მოედანზე. პარკერმა მასპინძელთა ხელს 25 ქულა მოუტანა, დანკანმა — 24, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. „შარლოტას" რიგებში არანაკლებ ეფექტურად ითამაშა ვინობილმა, რომელმაც 12 ქულა მოაგროვა, 12-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 7 შეფეხვანი გადაცემა შეასრულა. 27 მოპოვებული ქულით ყველაზე შეფეხვანი იყო მორისონი. „სან-ანტონიო" ოთხი ქულის სხვაობით 115:111 სძლია „მემფისს". გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შეფეხვანები იყვნენ ბობი, რომელმაც 32 ქულა მოაგროვა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. „ფილადელფიამ" ალენ აივერსონის ბრწყინვალე თამაშის წყალობით (28 ქულა) სტუმრად მოუგო „სიეტლს" 96:90.

ჰოლიფილდი კლიჩკოს 20 მილიონ დოლარს სთავაზობს

იბოქსი ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა, სუპერძიმეწონოსანმა ალექსანდრ კლიჩკომ შესაძლოა, იბრძოლოს მსოფლიოს ყოფილ ბანოვან ჩემპიონთან ევანდერ ჰოლიფილდთან. ამ უკანასკნელის პრომოუტერმა მურად მუჰამადმა უკრაინელ მოკრივეს ესენი ბრძოლაში მონაწილეობისათვის 20 მილიონი დოლარი შესთავაზა.

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ვლადიმირ კლიჩკომ წარმატებით დაიცვა ტიტული კუბელ ბროკთან ბრძოლაში და ტკბე დაიწყეს თავის „ტერეზეთ", თე ვინ იქნება კლიჩკოს მომდევნო მეტოქე. თვით ვლადიმირის გეგმაში კი ყველა ტიტული გაერთიანება შედის.

მაშინ, როცა პროფესიონალ კრიში სხვადასხვა ვერსიებით მსოფლიოს ტიტლები ხელთ იყიდეს მოკრივეებმა ყოველი სპეციფიკაციით, საზოგადოებას თავი შეახსენა 44 წლის ვეტერანმა ევანდერ ჰოლიფილდმა.

პრომოუტერი ფულს არ ზოგავს, რათა მისმა კლიენტმა ასპორტის ამერიკელთა ოცნება დაახრწოს ოქტანის გალმა ჩემპიონის ტიტულები. ამიტომაც შესთავაზა მურად მუჰამედმა 20 მილიონი დოლარი კლიჩკოს.

„ჩემი აზრით, ევანდერ ჰოლიფილდი ერთადერთი სუპერძიმეწონოსანია, რომელსაც ძალუძს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულების წართმევა ყოფილი სპეციალისტის სიერციდან, საზოგადოებას თავი შეახსენა 44 წლის ვეტერანმა ევანდერ ჰოლიფილდმა.

პრომოუტერი ფულს არ ზოგავს, რათა მისმა კლიენტმა ასპორტის ამერიკელთა ოცნება დაახრწოს ოქტანის გალმა ჩემპიონის ტიტულები. ამიტომაც შესთავაზა მურად მუჰამედმა 20 მილიონი დოლარი კლიჩკოს.

„ჩემი აზრით, ევანდერ ჰოლიფილდი ერთადერთი სუპერძიმეწონოსანია, რომელსაც ძალუძს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულების წართმევა ყოფილი სპეციალისტის სიერციდან წარმომადგენლებისათვის", — ამბობს მუჰამედი.

კლიჩკოსთვის ასეთი წინადადება ცუდი არ უნდა იყოს. ერთის მხრივ, — ის მიიღებს სოლიდურ ჰონორარს, მეორეს მხრივ — იბრძოლებს მსოფლიოში პოპულარულ მოკრივესთან, რომლის საუკეთესო წლები უკან, — წარსულში დარჩა. თვით ჰოლიფილდმა ახლახან მე-40 გამარჯვება მოიპოვა — 10 ნოემბერს ოქტნოსთან 12 რაუნდიან ბრძოლაში რეფერენსმა მას მიანიჭა გამარჯვება.

„მე არცთუ კარგად გამოვიყურებოდი ამ ბრძოლაში, თუმცა, ამოცანა მაინც შევასრულე — ოქტნო დავამარცხე. ახლა ერთ-ერთ ჩემპიონად შეხვედრა მსურს. ვიმედოვნებ, რომ ასეთი ბრძოლა, 2007 წლის პირველ ნახევარში შედგება," — თქვა პოლიფილდმა გამარჯვების შემდეგ.

ჩემპიონის ტიტულისაკენ მიმავალ გზაზე პოლიფილდს ერთადერთი პრობლემაა ადგილი რეიტინგში — ჯერ-ჯერობით პირველ ათეულშიც არ არის. აქედან გამომდინარე, ჩემპიონის სერიოზული ჯილდოები დამაკლებული. როგორც „ლელის" წინამორბედი გაცნობეთ, კლიჩკოს მომდევნო მეტოქე ოფიციალურად რემ ოსტინია. პოლიფილდთან ბრძოლის გამართვის საკითხი ალბათ, ოსტინთან გამარჯვების შემდეგ დაისმება.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



17 ნოემბერი, პარასკევი-30

EUROSPORT. რაღი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია (11.30), სამხეთ-ფრიკის რესპუბლიკა. მსოფლიო ტური (12.00), ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (13.00), ეერო — 2008. საკვალიფიკაციო მატჩი (14.00), ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), რაღი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30), სროლა. ეეროტური (22.00), ძალაბერის ტყლიერესი ადამიანები (23.00), ჭიდაობა (00.30), ეკატერინბურის სპორტი (02.30), EUROSPORT-2. ხელბურთი. მსოფლიო თასი (13.00), ფეხბურთი. ეერო — 2008 (17.00), ეგმატრმალური სპორტი (21.00), კალათბურთი. ეეროლიგა (22.00), ფეხბურთი. ეერო — 2008 (23.30). **„სპორტი 1"** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (08.20), ამხანაგური მატჩი. ჰ ოლანდია — ინგლისი (09.40), გზა პეკინისკენ (11.25). ეერო — 2008. საკვალიფიკაციო მატჩი (12.00), ატლეტიკა (14.15), ნოგბურთი. მიმოხილვა (17.45), პორტუგალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.15), სუდმერიკანას თასი (18.40). ჰოკეი. ნაწ (20.30), კრივი (22.55).

18 ნოემბერი, შაბათი
საქართველოს ტელევიზია. ამხოლუტური ფაღანგა. პირადპირი (18.20). **„მზე".** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერ სიტი" — „ფულჰემი" (16.45). „არსენალი" — „ნიუკასლი" (19.00). EUROSPORT. ციგაობა. მსოფლიო თასი (11.45). რაღი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.45), რაღი, ახალი ზელანდია (12.30). სათხილამურო სპორტი (13.00). მსოფლიო თასი (15.00). ფეხბურთი. ეერო-2008. მიმოხილვა (16.45). ხელბურთი. მსოფლიო თასი (17.15). რაღი (20.45). სამხრეთო ხელოვნება (02.00). ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (03.45). EUROSPORT-2. კალათბურთი. ეეროლიგა (14.00). ციგაობა. მსოფლიო თასი (14.30). ხელბურთი. მსოფლიო თასი (16.00). ფეხბურთი (17.00). მოტორბოლები (18.00). ეგმატრმალური სპორტი (19.00). კიკბოქსინგი (00.00). ხელბურთი (02.15). **„სპორტი-1"**. ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (06.00). ჩოგბურთი. მიმოხილვა (07.00). ავტოროლები (7.35). სუდმერიკანას თასი (09.35). გზა პეკინისკენ (11.35). ფეხბურთი (12.00). ჰოკეი. ნაწ (14.00). გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.05). ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (18.30). ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.55). იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.55). ჰოკეი. ნაწ (02.30).

19 ნოემბერი, კვირა
საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი. საპრიველოს ამხოლუტური ფალანგა (18.20). **„მზე".** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ბლეკბერნი" — „ტოტენჰემი" (20.00). EUROSPORT. ავსტრალიური. მსოფლიო სპორტი (07.00). „ფორმულა-3" (11.30). სათხილამურო სპორტი (12.30). ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17.15). რაღი. მსოფლიო ჩემპიონატი (20.45). მოტოსპორტის ყურანი (01.30). კრივი (02.00). EUROSPORT-2. ციგაობა. მსოფლიო თასი (15.00). მოტოფრისტაილი (17.00). ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00). კიკბოქსინგი (20.00). ხელბურთი (02.15). **„სპორტი-1"**. ფეხბურთი. სუდმერიკანას თასი (07.00). ტურა (07.30). ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა (09.35). გერმანიის ჩემპიონატი (11.55). პორტუგალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (13.45). ჰოკეი. ნაწ (15.00). იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.55). ესპანეთის ჩემპიონატი (19.55). ბრაზილიის ჩემპიონატი (00.20).

ჭროსვორდი

თარაზულად: 4. მოსკოვის საფეხბურთო კლუბი, 8. კონტინენტი, 11. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 12. ფეხბურთელი ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, 13. ტანვარჯიშში ოლიმპიონი ქართველი ქალის ერთ-ერთი სახელი, 16. რუსეთის საფეხბურთო კლუბი კაზანიაში, 17. სპორტული პრიზის სახეობა, 19. საქართველოს ფეხბ. ფედერაციის პრეზიდენტი, 20. ბილიარდის ჯოხი, 21. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 23. ცნობილი უცხოური სანნფორმაციო სააგენტო, 25. ცნობილი საფეხბურთო მწერალი, რომელმაც ინგლისის ნაკრები გაიცა მსოფლიო ჩემპიონი, 26. კამერუნელი ფეხბურთელი 1998 წ. მს. ჩემპიონატის მონაწილე, 27. ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი, 30. ძლიერი მმამალი, (მუსიკალური), 31. კრიეის სარბიელი, 32. მწყაზრი ნაბიჯი, 33. ფორმულა-1-ში მანქანის ან თვითმფრინავის მართვის სპეციალისტი.

ზემოთ: 1. წინასწარ გადახდილი თანხა, 2. შეფასება ძიუდოში, 3. ეგვიპტური მითოლოგიით მზის ქალღმერთი, 4. ჭიდაობის ილეთი, 5. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 6. ხელოვნური ან ბუნებრივი პატარა ზომის წყალსატევი, 7. სიფონის ოქ. თამაშების თიხისმა, 9. შეფასება ძიუდოში, 10. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 14. ერთი ქართული ოჯახიდან რამდენიმე ღებენდარული ალპინისტის გვარი, 15. პატარა გემი, 17. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე საკალათბურთო გუნდი (შემოკლებით), 18. სპორტული ასპარეზობების პარტნორი უცხოური ცნობილი ფირმა, 20. ადგილი, რომელსაც იცავს მეკარე, 22. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 24. მშვიდობიანი სატურნები, 28. ცნობილი იაპონელი ფეხბურთელი, 29. ცნობილი ეგვტრული კანადელი ჰოკეისტი, 30. მუსიკალური გამის მე-4 ბგერა.

მოამზადა ნოდარ ჯავშაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. როსი, 3. მოშიშვლი, 7. ტარელი, 9. ორფანი, 11. ილლა, 14. ბელტონი, 15. ქედანი", 17. დეტა, 18. ამწილები, 21. ისეკი, 24. დფენტანა, 25. ბლიკი, 26. ეკიპაჟი, 27. „ალეა".

ზემოთულად: 1. რუდე, 2. სატი, 4. „შალე", 5. შიო, 6. „ბაჭია", 8. „ცრაზანა", 10. ირმი, 12. „ლეგიონელი", 13. პისტოლეტი, 16. ნაბა, 19. ეშარა, 20. ირონია, 22. სნაა, 23. რიო

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩიჩილაძე

თარიღები

17 ნოემბერი

1893 წ. შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „სპარტა" (პრაღა).

18 ნოემბერი

1951 წ. დაიბადა დავით ყიფიანი (ფეხბურთი — „დინამო" თბ) სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1978 წ. სსრკ ჩემპიონი. 1976, 1979 წ. კუბოკის თასის მფლობელი. 1981 წ. თასების მფლობელთა თასის მფლობელი. 1977 წ. კუბოკის №1 ფეხბურთელი. 1978, 1982 წ. მსოფლიო ჩემპიონატების და 1980 წ. ევროპის ჩემპიონატის მონაწილე. 1978 წ. ევროპის ნაკრების 19 მატჩი და გაიტანა 7 გოლი. რეკორდ შეიდოდა საკავშირო შორის „33"-ში იყო თბილისის „დინამოს" ყოველი მწვრთნელი. სპორტის ფუნქციონერი. ტრაგიკულად დაიღუპა 2002 წელს.

1964 წ. თბილისის „დინამომ" პირველად მოიპოვა ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

19 ნოემბერი

1934 წ. დაიბადა ვალენტინ ივანოვი (ფეხბურთი — „ტორპედო" მოსკოვი). ოლიმპიური ჩემპიონი (1956). ევროპის მეორე პრიზიორი (1964). მსოფლიო ჩემპიონატების (1958, 1962) მონაწილე. სსრკ ჩემპიონი (1960, 1965). ნაკრებში თამაშობს 61 მატჩი. გაიტანა 26 გოლი. 9-ჯერ შეეღირა „ოქროს ბურთის" სიაში.

20 ნოემბერი

1899 წ. შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა". ესპანეთის პირველი ჩემპიონი. მრავალჯერ ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

1934 წ. დაიბადა ვაჟა (ფეხბურთი — პალმეირას ეფდაც იზიდინი) ენობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი („ჯასუდა გამა", „ბატაფოგო", ბრაზილიის მაღრიდის „რეალი"). 1958 წ. მსოფლიო ჩემპიონი. ნაკრებში ითამაშებს აჭს 19 მატჩი და გაიტანა 13 გოლი.

1927 წ. დაიბადა ვახტანგ ბალაური (თავისუფალი ჭიდაობა). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და მეოთხე პრიზიორი, ოლიმპიური თამაშების (1956) ბრინჯაოს მედლოსანი, სსრ კავშირის ეკუსების გამარჯვებული და საბჭოს მეორე ადგილოსანი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com